ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3080116

ნომერი: AR1474762

თარიღი : 31.01.2017

გაცემის თარიღი : 03.02.2017

გაცნობის თარიღი : 04.02.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვიქტორია გრიგორიანი პ/ნ 01022007430
- თბილისი ხორნაბუჯის ქ. N 42

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება დემონტაჟი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს თქვენი საკითხის ხელახლა განხილვა საჭიროა გაითვალისწინოთ მითითებული მოთხოვნა და წარმოდგენილი იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:

..ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : ამ ველში უნდა აიტვირთოს არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათის (შორი და ახლო მანძილებიდან გადაღებული)საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი მასალისა და დეტალური ზომების მითითებით;

..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოსადგენია შორი და ახლო მანძილებიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები;
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების, მუხლი 18, პუნქტი 10, ქვეპუნქტი ა)–ს თანახმად: განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20%–ს.

2 წარმოსადგენია ახალი ფოტომონტაჟი ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით. ასევე ცალკე წარმოადგინეთ თქვენი კუთვნილი ფართის ფასადის საანგარიშო ზედაპირი და მასზე განსათავსებელი სარეკლამო აბრების ზომები, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ფასადის 20 % (აღნიშნულის გათვალისწინებით განხორციელდეს ცვლილება შესაბამის დოკუმენტაციაში).

ასევე გაცნობებთ : 2017 წლის 30 იანვრის მინოდბილობა არ არის მისაღები, რადგან არ არის აღნიშნული მინოდბილი პირის უფლებამოსილების ფარგლები და არ დგინდება აქვს თუ არა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება , ხოლო იჯარის ძირითად ხელშეკრულებასთან ერთად წარმოდგენილი 2015 წლის 30 სექტემბრის შეთანხმების თანახმად რითაც გაგრძელებულია ხელშეკრულების ვადა , რომელიც არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში, საჭიროა აღნიშნული შეთანხმება დარეგისტრირდეს და წარმოდგენილი იქნეს განახლებული ამონაწერი. საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი .

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის

წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.